# შეგრძნებები

მაღალი დონე
1











საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

**ავტორები:**

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე

ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

**რედაქტორი**

კახა გაბუნია

**დიზაინერი**

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

**თბილისი**

**2019 წელი**

# შეგრძნებები

მაღალი დონე

1

დახუჭე თვალები.



ყურადღებით მომისმინე.
გამოიცანი, სად ხარ შენ…



შენ ხედავ დაფას, მერხს, სკამებს, მოსწავლეებს, მასწავლებელს.



სად ხარ შენ?



სკოლაში, კლასში.

შენ გესმის მასწავლებლის ხმა:



მარჯვნისაკენ!



მარცხნისაკენ!



ზურგისაკენ!



შენ ეხები ბურთს და ისვრი    კალათში.



შენ ხედავ ორძელს და ბაგირს.

სად ხარ შენ?



სკოლაში, ფიზკულტურის დარბაზში.



შენ ეხები მცენარეს ქოთანში, ყნოსავ ყვავილს,



ხედავ აყვავებულ კიტრს,



გესმის სიმინდის შრიალი.



სად ხარ შენ?   სკოლის ბოსტანში



გესმის ბავშვების ხმა: ერთი ღვეზელი, თუ შეიძლება?



გრძნობ პურის სურნელს. ხედავ გემრიელ კერძს.
ეხები დანასა და ჩანგალს.
აგემოვნებ ახალ კერძს.

სად ხარ?



სკოლაში, სასადილოში.



ხედავ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, დირექტორს.
გესმის: „შედით საკლასო ოთახებში“.



არბიხარ კიბეზე. ეხები კიბის სახელურს.

სად ხარ შენ?



სკოლაში, დერეფანში.